საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030185242128320

№ 01-30/ო **31 / იანვარი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ანალიტიკის დეპარტამენტის უფროსის მიხეილ ჯანიაშვილისთვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ და „ყ“ ქვეპუნქტებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61 - ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

მუხლი 1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ანალიტიკის დეპარტამენტის უფროსს მიხეილ ჯანიაშვილს (პ/ნ20001001243) (ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში, მოვალეობის შემსრულებელს) მიენიჭოს უფლებამოსილება, სამინისტროს სახელით, ხელი მოაწეროს იმ ხელშეკრულებებს (კონტრაქტებს, მემორანდუმებს და სხვა), რომლებიც უკავშირდება სამინისტროს ბალანსზე რიცხული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურაში (სერვერებზე) განთავსებული სამინისტროსა და სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ ადმინისტრირებადი ელექტრონული ბაზებიდან მონაცემების გაცემის (მონაცემებზე დაშვება და ა.შ.) და/ან მონაცემების მიღების საკითხებს და/ან უკვე გაფორმებულ ხელშეკრულებებში (კონტრაქტებს, მემორანდუმებს და სხვა) შესატანი ცვლილებების შესახებ შეთანხმებებს. ასევე, იმ ხელშეკრულებებს, კონტრაქტებს და ა.შ., რომლებიც უკავშირდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან“ და სსიპ - ,,მონაცემთა გაცვლის სააგენტოდან" მონაცემების მიღების საკითხებს და/ან უკვე გაფორმებულ ხელშეკრულებებში, კონტრაქტებს და ა.შ, შესატანი ცვლილებების შესახებ შეთანხმებებს.

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

1. ,,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსის მიხეილ ჯანიაშვილისთვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 26 თებერვლის № 01-79/ო ბრძანება;

2. ,,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსის მიხეილ ჯანიაშვილისთვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 21 დეკემბრის № 01-1351/ო ბრძანება.

მუხლი 3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე. ბრძანების პირველი პუნქტი გავრცელდეს 2019 წლის 22 ოქტომბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.